რუსეთის პრეზიდენტი ვ.ვ. პუტინი სიტკისა და ალიასკის მთავარეპისკოპოს ალექსის შეხვდა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 17.08.2025. 2025 წლის 15-16 აგვისტოს, ანკორიჯში (ალიასკა) ელმენდორფ-რიჩარდსონის ამერიკულ სამხედრო ბაზაზე გაიმართა რუსეთ-ამერიკის მოლაპარაკებები უმაღლეს დონზე, რომელშიც მონაწილეობდნენ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინი და აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი.

მოლაპარაკებების შემდეგ რუსეთის პრეზიდენტმა ყვავილებით შეამკო საბჭოთა ჯარისკაცების საფლავები ელმენდორფ-რიჩარდსონის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე მდებარე „ფორტ რიჩარდსონის“ სასაფლაოზე, – **იტყობინება** Kremlin.ru.

სასაფლაოს მონაკვეთზე, რომელსაც ეწოდება „მოკავშირეები მეორე მსოფლიო ომის წლებში“, 14

საბჭოთა მოქალაქეა დაკრძალული. დადგენილია 11 სამხედრო მოსამსახურის სახელი და სამხედრო წოდება, მათ შორისაა: ცხრა მფრინავი, რომლებიც მონაწილეობდნენ თვითმფრინავების გადაყვანაში ალიასკა-ციმბირის საჰაერო მაგისტრალზე და ორი მეზღვაური, რომლებიც აშშ-ში იმყოფებოდნენ გემების მისაღებად „ლენდ-ლიზის“ პროგრამით. ერთი საფლავი უცნობია, ხოლო კიდევ ორი სამარხი სამოქალაქო პირებს ეკუთვნით.

რუსეთის სახელმწიფოს მეთაური ასევე ესაუბრა ამერიკაში მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქს, სიტკისა და ალიასკის მთავარეპისკოპოს ალექსის. რუსეთის პრეზიდენტმა იერარქს ამერიკის მფარველი წმინდანის, ღირსი გერმანე ალიასკელის და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ხატები გადასცა.

„მინდა გადმოგცეთ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის, კირილეს საუკეთესო სურვილები. ჩვენ ერთმანეთს შევხვდით ჩემი აქ ვიზიტის წინ. მან მე თავად მიამბო, როგორ ფუძნდებოდა აქ მართლმადიდებელი ეკლესია. მითხრა, რომ თვითონაც იყო აქ ნამყოფი და აღსრულებული ჰქონდა ღვთისმსახურება. დიდი სითბოთი ისაუბრა თქვენზე“, – უთხრა ვ.ვ. პუტინმა.

მთავარეპისკოპოსმა ალექსიმ მადლობა გადაუხადა რუსეთის პრეზიდენტს და ასევე უსახსოვრა მას ათონის მთაზე დაწერილი ღირსი გერმანე ალიასკელის ხატი. „ეს არის ხატი, რომელიც მაჩუქეს, როდესაც წმინდა მთიდან ეპისკოპოსად მაკურთხეს. ოთხი წლის განმავლობაში ეს ხატი ჩემს სალოცავ კუთხეში იყო დაბრძანებული, და მე მსურს, ის თქვენ გადმოგცეთ, რათა გამოვხატო ალიასკის მკვიდრთა მადლიერება იმ ქვეყნის ლიდერისადმი, რომელმაც ერთ დროს აქ მისიონერები გამოგზავნა. ვინაიდან რუსეთმა მოგვცა ის, რისთვისაც ყველაზე მადლიერები ვართ, რაც ყველაზე ძვირფასია – ეს არის მართლმადიდებლური სარწმუნოება“, – აღნიშნა მღვდელთმთავარმა.

მეუფე ალექსიმ თქვა, რომ ის ყოველ წელს ცდილობს, ეწვიოს რუსეთს. „ჩემთვის, ისევე როგორც ჩემი სამღვდელოებისთვის, სემინარიელებისთვის – ეს ყოველთვის დიდი საჩუქარია. ყოველთვის, როცა ისინი იქ (რუსეთში) იმყოფებიან, ამბობენ: ჩვენ საკუთარ სახლში აღმოვჩნდით“, – დასძინა მან.

ვ.ვ. პუტინმა იერარქს სასურველი სტუმარი უწოდა და აღნიშნა, რომ მას ყოველთვის შეუძლია, როგორც კი რუსეთში ჩამოვა, თავი საკუთარ სახლში იგრძნოს.

გარდა ამისა, ვ.ვ. პუტინი მოკლედ ესაუბრა „ფორტ რიჩარდსონის“ ნაციონალური სასაფლაოს დირექტორს, დვეინ მანდენჰოლს და მადლობა გადაუხადა მას საბჭოთა ჯარისკაცების ხსოვნის შენარჩუნებისა და კეთილგანწყობილი დამოკიდებულებისთვის.

ფოტო: *Kremlin.ru*

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93473/